სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87703030603122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221083587

რეგისტრაციის თარიღი

23.08.2022 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **არჩილ გაჩეჩილაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორი, რაც დასტურდება სს 'საქართველოს ბანკი'-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეესტრიდან (ინახება ჩემს არქივში). **არჩილ გაჩეჩილაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **გიორგი მელაშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **არჩილ გაჩეჩილაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **არჩილ გაჩეჩილაძემ** (დაბადებული 05.06.1979წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01031000774, მცხოვრები თბილისში, სოფელი წავკისი, დავით ჯოხაძის ქუჩა N 26) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **არჩილ გაჩეჩილაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდეინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) გენერალური დირექტორი **არჩილ გაჩეჩილაძე** (პ/ნ:01031000774) (შემდგომში - მარწმუნებელი), ანიჭებს უფლებამოსილებას **გიორგი მელაშვილს** (პ/ნ 01009015898, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით), ულიმიტოდ
   1.1. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
   1.2. ხელი მოაწეროს ბანკის კორესპონდენციას (გამავალ წერილებს), რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობასთან.
   1.3. მომსახურების, დავალების, შესყიდვის და სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
   1.4. დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები), რაც დაკავშირებულია საინკასაციო მომსახურებასთან, მათ შორის და არამხოლოდ: საინკასაციო მომსახურების ხელშეკურლება(ებ)ს, დანართ(ებ)ს, შეთანხმება(ებ)ს დამატებითი პირობების შესახებ;
   1.5. სახელმწიფო სტრუქტურების, სამინისტროების, ეროვნული ბანკის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, აგრეთვე კერძო იურიდიული პირებისთვის განკუთვნილ წერილებს, ინვოისებს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საკასო და საინკასაციო საქმიანობასთან;
   1.6. შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
   1.7. სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთან გასაფორმებელ (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტის სახით ფორმირებული) მიღება-ჩაბარების აქტებს და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
   1.8. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
   1.9. ნასყიდობის (მათ შორის და არა მხოლოდ რეალიზების, შეძენისა და გასხვისების), იჯარის, ქირავნობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის, აღნაგობის, მიბარების, ჩუქების, გაცვლის, თხოვების, გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ) უპირატესი შესყიდვის, საკუთრების მინდობის და უძრავ/მოძრავ ქონებასთან ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
   1.10. იჯარის ხელშეკრულებას(ებს), ულიმიტოდ, რომლითაც გათვალისწინებულია იჯარით მიღებულ უძრავ ქონებაზე ბანკომატის განთავსება და ამ ხელშეკრულებასთან(ებთან) დაკავშირებულ ნებისმიერი სახის ცვლილებას(ებს)/დამატებას(ებს).
2. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს) წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/ შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/ დამატებ(ებ)ის

ან/და შეწყვეტის/მოშლის/გასვლის/უარის თქმის შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ბრძანება(ები)/განკარგულება(ები)/ განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.

3. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში და ნოტარიუსთა პალატაში, მათ შორის და არამხოლოდ:
   3.1. წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში; განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია, მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მიანიჭოს კორექტირებული ნუმერაცია; განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნა, გაერთიანება, კორექტირება;
   3.2. წარმოადგინოს მარწმუნებელი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში და სანოტარო ბიუროში (მათ შორის და არა მხოლოდ, წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მიღებასთან დაკავშირებით, ჩააბაროს შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება, ჩაიბაროს ნებისმიერი დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის სამკვიდრო საქმის წარმოებასთან ან/და მარწმუნებელსა და მესამე პირს შორის დადებულ იპოთეკის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და ხელი მოაწეროს შესაბამის სანოტარო აქტებს;
4. გამოითხოვოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (მათ შორის და არა მხოლოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს (მათ შორის და არა მხოლოდ, მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების (მათ შორის იპოთეკის/გირავნობის, წინარე ნასყიდობის, ოფციის, ყადაღის მოხსნა და სხვა) წერილებს.
5. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/ განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი/ დოკუმენტაცია.
6. განახორციელოს მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლის, მატერიალურ დოკუმენტთან შესაბამისობის დამოწმება/დადასტურება და ამ მიზნით, მიენიჭოს ელექტრონული დოკუმენტის ელექტრონულად ხელმოწერის უფლებამოსილება.
7. წარმოადგინოს სს საქართველოს ბანკის ინტერესები ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების (მათ შორის და არა მხოლოდ: აღსრულების ეროვნული ბიურო, შსს მომსახურების სააგენტო, საქართველოს პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებები, სამინისტროები, სამინისტროს დაქვემდებარებულ ქვე-უწყებები), ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე ბანკის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ საკრედიტო ადმინისტრირების, ტრანზაქციულ, ოპერაციულ მომსახურებასთან, უზრუნველყოფების და ქონების შეფასებასთან დაკავშირებით, წარადგინოს განცხადებები, პროექტები და მიიღოს დოკუმენტაცია შედეგების შესახებ, მოახდინოს საჭირო გადასახდელების გადახდა და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია. ხელი

მოაწეროს ზემოხსენებულ მოქმედებებთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/ ხელშეკრულება(ებ)ს/ მემორანდუმ(ებ)ს/წერილ(ებ)ს.

8. ნებისმიერ დაწესებულებასთან, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს (კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ს/ ხელშეკრულებას(ებს) /შეთანხმებას(ებს)/ გარიგებას(ებს), ულიმიტოდ, მათ შორის და არა მხოლოდ:
   8.1. ნებისმიერი მესამე პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების იპოთეკა/გირავნობით დატვირთვასთან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) და აგრეთვე აღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებები (ხელშეკრულებები);
   8.2. თანხმობებს ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებთან დაკავშირებით, მათ შორის, რეკონსტურქციასთან, რემონტთან, მიშენებასთან, დაშენებასთან, ფართის ცვლილებასთან, გამიჯვნასთან, ფართის დაზუსტებასთან, რეგისტრაციის მისამართზე პირის ჩაწერასთან დაკავშირებით.
   8.3. ნასყიდობის (მათ შორის და არა მხოლოდ რეალიზების, შეძენის და გასხვისების), იჯარის, ქირავნობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის, აღნაგობის, მიბარების, ჩუქების, გაცვლის, თხოვების, გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ) უპირატესი შესყიდვის, საკუთრების მინდობის და უძრავ/მოძრავ ქონებასთან ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
9. გასცეს კომუნალურ მომსახურებებთან დაკავშირებული თანხმობები/დოკუმენტები. ასევე გაცემული საბუთები წარადგინოს შესაბამის კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში.

რწმუნებულება გაცემულია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებამოსილებით.

მარწმუნებელი

არჩილ გაჩეჩილაძე _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____



რწმუნებულება

სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) წარმომადგენელი **გიორგი მელაშვილი** (პ/ნ 01009015898, შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას (მინდობილობით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის - არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 23.08.2022 წელს, რეგისტრაციის ნომერი N221083587, ინდივიდუალური ნომერი: 87703030603122) ანიჭებს უფლებამოსილებას **გიორგი ბუქურს** (პ/ნ 01025003639, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს სს „საქართველოს ბანკის“ ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს განცხადებები, პროექტები და მიიღოს დოკუმენტაცია შედეგების შესახებ, მოახდინოს ანგარიშსწორება და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია. ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ მოქმედებებთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.

წინამდებარე რწმუნებულება ძალაშია 2024 წლის 23 მარტის ჩათვლით.

მარწმუნებელი

გიორგი მელაშვილი ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230351764
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების იდენტიდუალური ნომერი	22981021459923

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42/ ვამოწმებ გიორგი მელაშვილის (დაბ.14.05.1976წ. პ/ნ 01009015898; მისამართი: ქალაქი თბილისი, ვასილ ბარნოვის ქუჩა, N 82, ბინა 8) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.
სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის #29ა-ში , სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა. დოკუმენტის 1 ეგემპლარზე 1 გვერდიან დოკუმენტზე 1 ხელმოწერის დამოწმებისთვის 6.00 ლარი + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი, დღგ 7.38 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18